1(203) 12.01.2001
პარასკევის გამოშვება
30 თეთრი

# ფანტაზია 2001



## NBA-ს ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშე

### ლარი ბირდი
(მე-12 გვ.)

### მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი




...2001 წელს ჩვენი ყურადღების მთავარი საგანი კვლავ კროსვორდი იქნება და კვლავ დაგვრჩება ის სა ფიქრალი, თუ როგორ ვიხსნათ ეს ქმნილება მტაცებელთაგან...



*ეს კროსვორდი მხოლოდ ქართული სიტყვებითაა შედგენილი)*

1. გულს რომ მოაწვება ხოლმე, ჩვენი ენის წამბილწველებთან საუბრისას. 2. მარადიული ანუ როგორი? 3. ესღა რომ დაგვრჩენია განკურნების იმედად. 4. ესეც გულს რომ ემერთება ხოლმე (...იმავე მიზეზით). 5. ხელში უხერხულად აყვანა ანუ რა? 6. როგორი კაცი არ წაბილწავს ენას? 7. მარტოსული ანუ როგორი? 8. ეკლიანი ბუჩქებით დაფარული ადგილი. 9. ასეთიც თუ იქნები სხვათა ენას ადვილად არ დაეჩაგვრინები. 10. საბრძოლო თავსარქმელი. 11. შეუღლება-ქორწილების მოქმედი პირი ძველ დროს. 12. უუნარო მამაკაცი. 13. სახის ნაწილი. 14. მწარე საკმაზი. 15. „ღარიბის" ერთ-ერთი შესატყვისი. 16. პატარა და სუსტი. 17. მშვენიერი ყვავილის მშვენიერი სახელი. 18. ახლა რომ გვენატრება და ზაფხულში რომ გვაწუხებს. 19. ყურძნის მთლად უკანასკნელი ყოფის გამომხატველლი ნამდვილად ქართული სიტყვა. 20. კიდევ ერთი შესატყვისი „ღარიბისა". 21. ამას კი სხვაგვარად სამსალაც ჰქვია. 22. პირის ღრუს შესატყვისი ერთ-ერთი სიტყვა. 23. მდინარის ჩანგრეული ნაპირი. 24. ღღეღამის მოკლე მონაკვეთის აღმნიშვნელი მშვენიერი ქართული სიტყვა.

*(...როგორც ხედავთ კითხვების მხოლოდ ქართული სიტყვებით დავწერეთ... თურმე შესაძლებელი ყოფილა, არა. ეს?!)*

*2001 წელს, რაც თავის მხრივ დროის ათვლის რამოდენიმე ახალ ერთეულს მოიცავს, ჩვენს გაზეთს კიდევ ერთი (ნახევრად)იუბილე ელის და ეს მისი არსებობის 5 წელი გახლავთ („ფანტაზიის" სულ პირველი ნომერი უკვე „იმ შორეული" 1996-ის 7 თებერვალს გამოვიდა). ამ ხნის განმავლობაში მოხდა მთავარი რამ - ჩვენმა გაზეთმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა სხვა გაზეთთა შორის და მას მუდმივი და ერთგული მკითხველი ჰყავს. ეს უკანასკნელნი კი (მუდმივ მკითხველებს ვგულისხმობთ) იმდენად გონიერი და განათლებული ადამიანები არიან, რომ ჩვენც იძულებულს გვხდიან აღნიშნული უნარ-თვისებანი მოვიძიოთ და შევიძინოთ.*

*...და სწორედ ამის თქმა გვსურდა ამ ახალი ეპოქის კარიბჭესთან:*

*ზოგადად ჩვენი მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, ისევ ე.წ. ინტელექტუალური მასალა-ინფორმაციის მოძიება-პუბლიკაციას დაეთმობა და ამ მიზნის განხორციელება, ალბათ, კვლავაც კროსვორდების თუ ენციკლოპედიური ფუნქციით გაჯერებული საკითხების გამოქვეყნებით იქნება გამართლებული. მართალია, რა დაპირებებიც ჩაწიწკწიკებულა ჩვენს გვერდებზე, პრაქტიკულად ყველა შეგვისრულებია, მაგრამ ამჯერად რაიმე წინასწარი გეგმისა თუ მისთანას ჩამორაკრაკებას აღარ ვაპირებთ, რადგან ეს ჩვენი გარემომცველი სამყარო ისეთი სისწრაფით იცვლის სახეს, რომ ძნელია ივარაუდო, თუ რა დააინტერესებს ადამიანს თუნდაც სულ მოკლე ერთი წლის განმავლობაში. ასე რომ, მივყვეთ ცხოვრების ქროლას (...დიახ, ცნება „ცხოვრების დინებაც" უკვე მოძველდა!) და შევეცადოთ ჩვენთვის სასურველი თემები გავაშუქოთ არა ისე, როგორც ვინმეს უნდა, არამედ ისე, როგორც არის.*

*ახალი რუბრიკები და მისთანა საგაზეთო მიმოხვრანი კი, რა თქმა უნდა, ჩვენთანაც გამოჩნდება და ესეც მქროლავი ცხოვრების მაქსიმალური მიდევნებით მოხდება.*

*ვიყოთ ერთად და ვიქროლოთ 21-ე საუკუნეში!*

*...სხვა რა დაგვრჩენია?!*

**უახლოეს ნომერში რუბრიკით მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი (გამოშვება №24)**







| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **21** | **22** | **23** | **24** | **25** | **26** | **27** | **28** | **29** | **30** | **31** | **32** | **33** | **34** | **35** | **36** | **37** | **38** | **39** | **40** |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

1. ჩვენ ერთხელ ვწერდით, რომ ეს სიტყვა სპარსულად „ბეჭდის მფლობელს" ნიშნავს, ნოდარ დუმბაძემ კი თავის პერსონაჟს დაარქვა... რა? (**3**). 2. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში (**6**). 3. სამშენებლო მასალის სახესხვაობა (**2**). 4. თანამედროვე ქართველი საესტრადო მომღერალი და კარიკატურისტი (**4**). 5. საკონდიტრო ნაწარმის სახესხვაობა (**2**). 6. რა არის თავისი არსით ლიმპოპო? (**6**). 7. ფრანგული კინოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომიკოსი (**5**). 9. ნამდვილი სახელი ქალისა, რომელსაც ახლა უფრო ხშირად „ქალბატონი შურას" სახელით მოვიხსენიებთ (**3**). 9. პოლონეთის ფულის ერთეულიც და ზოგადად მცირეოდენი ფულიც (**4**). 10. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იმპერეატორი თანამედროვე მექსიკის აცტეკთა იმპერიისა (**9**). 11. ბრეჟნევის ეპოქას ერთდროს „უძრაობის ხანად" მოიხსენიებდნენ... კიდევ როგორ შეიძლება ითქვას - „უძრავი"? (**4**). 12. წესრიგის დამცავი პირი ინგლისურენოვან სამყაროში (**6**). 13. ყველაზე სრულყოფილი ფორმა სამყაროში (როგორც ჩვენ გვგონია) (**3**). 14. რა ჰქვია ფოტოგრაფ ვასიკო კექერაძის თანაშემწეს გურამ დოჩანაშვილის ცნობილ მოთხრობაში? (**8**). 15. სადამსჯელო მიზნებისათვის გამოყენებული სპეციალური ნაგებობა (**5**). 16. 30-იანი წლების ფრანგი კინორეჟისორი (**7**). 17. ჩვენი ესტრადის ცნობილი მომღერალი ქალბატონი ნანული (**2**). 18. შინაბერას მამაკაცური ანტონიმი (**3**). 19. საერთო ინტერესების მქონე ადამიანთა გამაერთიანებელი დაწესებულება (**3**). 20. უფროს თაობას ეხსომება - ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცნობილი ლიდერი, რომლის გვარი ქართულად მე-2 პირის მიერ აკუსტიკურ იგნორირებას გამოხატავს (**10**). 21. სასამნართლოს სახესხვაობა (**3**). 23. წარმომადგენელი პარტიული დაჯგუფებისა, რომელიც ლენინს ექიშპებოდა ხალხის გულის მოგებაში (**7**). 23. დამოუკიდებლობათა მოპოვებისაკენ მოწოდებული ხალხის საალუმო ლოზუნგების ტრიადის ერთ-ერთი ცნება (**3**). 24. ევროპის ერთ-ერთი ძირითადი მკვიდრი (**2**). ნამდვილი სახელი ერთ-ერთი ქალბატონისა, რომელიც „**ABBA**"-ს შემადგენლობაში მღეროდა (**8**). 26. მსახიობი ქალი, რომელმაც ელდარ რიაზანოვის თითქმის ყველა ფილმში ითამაშა (**5**). 27. სახელი იაპონელი მწერლის, ოე-სი (**9**). 28. ...კიდევ როგორ შეიძლება იყო ხმა და არა მხოლოდ ადამიანისა? (**2**). 29. კიდევ როგორი შეიძლება იყოს თოფი? (**3**). 30. თითქმის ჭრელი ანუ როგორი? (**3**). 31. მუსლიმანური რელიგიური სახელმწიფოს სახესხვაობა (**6**). 32. მუსლიმან მამაკაცთა თავსაბურავი (**4**). 33. ქალაქი რუსეთში, ჩუკოტკის ავტონომიურ ოლქში (**7**). 34. ჯიუტი, ურჩი და შეუგნებელი ანუ როგორი? (**5**). 35. არგენტინის ყოფილი პირველი ლედის მოფერებითი სახელი (1997 წელს ჩვენ მის შესახებაც დავწერეთ) (**7**). 36. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი (**4**). 37. ნამდვილი გვარი კაცისა, რომელიც ჩვენს ისტორიას თუნდაც „მიმქრალი შარავანდედით" შემორჩება (**4**). 38. კომუნისტობისდროინდელი რეგიონალური სამთავრობო ორგანიზაციის შემოკლებითი სახელი (**4**). 39. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი (**8**). 40. ევროპის ერთი ახალი სახელმწიფოს ბინადარი (**7**).

**01-40 ქულა** - დამწყები კროსვორდისტი
**41-80 ქულა** - მეორეთანრიგოსანი
**81-120 ქულა** - პირველთანრიგოსანი
**121-160 ქულა** - ოსტატი
**161-180 ქულა** - დიდოსტატი
**181-188 ქულა** - ბრავო, მაესტრო!
**190 ქულა** - კროსვორდი თქვენ შეადგინეთ?

*პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე*

## *ფანტაზიის დიდოსტატები*



# ალფრედ ნობელი

*ნოტარიუსი დარბაზში შევიდა, თავი თავაზიანად დახარა და გაიფიქრა: ამათ წარმოდგენაც არ აქვთ, თუ რა სიურპრიზი ელით. მერე ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და ყოველი სიტყვა გამოწვლილვით წაიკითხა: განსვენებული ალფრედ ნობელის ანდერძის*

...ანდერძის შინაარსიის გაცნობის შემდეგ დარბაზში დაძაბულმა დუმილმა დაისადგურა. ნათესავები დიდი გამოგონებლისა, რომელიც პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს კაცად ითვლებოდა, ძლივსღა ახერხებდნენ თავის შეკავებას და დუმილიც სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა დაარღვია — „ეს შეუძლებელიაო!!!“ - იყვირა და დარბაზიდან გავარდა. მას სხვებიც მიჰყვნენ და მალე მთელი დარბაზი დაცარიელდა. მაშინ ნოტარიუსმა ერთხელ კიდევ გადაიკითხა ანდერძი და გონებაში ის არგუმენტები მოიძია, რის საფუძველზედაც ნათესავებს განსვენებულის სურვილის გასაჩივრება შეეძლებოდათ.

„მთელი ჩემი უძრავი და მოძრავი ქონება - ეწერა ანდერძში - გადაყვანილ უნდა იქნას ფულად ერთეულებში და მოთავსდეს სანდო ბანკში. ეს ქონება უნდა ეკუთვნოდეს ფონდს, რომელიც ყოველწლიურად ამ ქონებისაგან მიღებულ შემოსავალს გასცემს პრემიის სახით მათთვის, ვინც გასული წლის განმავლობაში ყველაზე მეტად გამოიჩინა თავის მეცნიერებაში, ლიტერატურასა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში და რომლის მოღვაწეობამაც სარგებელი მოუტანა კაცობრიობას“. ქონებიდან შემოსული მოგების თანხა უნდა გაყოფილიყი ხუთ ნაწილად და ყოველ ეს ნაწილი პრემიის სახით გადანაწილებულიყო ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის, ლიტერატურის და მშვიდობის სფეროებზე. ამ პრემიის მაძიებელი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი ადამიანი, რადგან ეროვნებასა და რასაზე არაფერი იყო ნათქვამი ანდერძში.

ყველაზე ძუნწი მონაცემებით ნობელის უძრავ-მოძრავი ქონება 33 233 792 შვედური კრონის (დაახლოებით 62 მილიონი ფუნტი სტერლინგი ახლანდელი კურსით) ტოლფასი იყო... და მთელი ეს თანხა რაღაც ფონდში უნდა გადასულიყო?! ნათესავებისათვის კი ფაქტიურად „ხურდა ფული“ ანუ სულ რაღაც 2 მილიონი კრონი იყო გათვალისწინებული... გამოცდილი ნოტარიუსი გრძნობდა, რომ პრობლემები სწორედ ახლა იწყებოდა და არც შემცდარა. ანდერძის გამოქვეყნების შემდეგ დიდი სკანდალი ატყდა. მემკვიდრეთა ნაწილმა პროტესტი გამოთქვა, გაზეთები კი ალფრედ ნობელს პატრიოოტიზმის არქონაში ადანაშაულებდნენ - განა შეიძლებაო პაციფიზმის იდეებს ეროვნული და ნათესაური ინტერესები შესწიროო?! თვით შვედეთის მეფე ოსკარ II-ემაც. რომელსაც აღიზიანებდა ის, რომ ეს გიგანტური ქონება უაზროდ იკარგება, განაცხადა, რომ ნობელი „მშვიდობის ფანატიკოსებმა“ გაასულელესო და უკეთესი იქნებოდა ნობელის იარაღისმწარმოებელი უზარმაზარი ქარხნები შვედეთის მთავრობას დარჩენოდაო... მთავარი სიძნელე კი იმაში მდგომარეობდა, რომ ნობელის ქონება მთელ მსოფლიოში იყო გაფანტული: აგარაკი ნიცაში, სახლი პარიზში, უამრავი ფაბრიკა ფინეთში, რუსეთში გერმანიაში, იტალიასა და ინგლისში...

განსვენებულის ნების აღსასრულებლად ხელდახელ კომისია შეაკოწიწეს და ამ კომისიის წევრები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ, რათა ნობელის ქონება ზედმეტი ბიუროკრატული გაწამაწიის გარეშე გაეყიდათ. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ ნობელს ზოგიერთი ქვეყნის მთავრობასთან საკმაოდ ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა. საფრანგეთში მას, დინამიტის გამომგონებელს, უბრალოდ ჯაშუშად თვლიდნენ და მის ქონებას ისეთი გადასახადები დაადეს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ფულის საფრანგეთიდან შვედეთში გადაგზავნა. ბოლოს გადაწყვიტეს ნაღდი ფული წამოეღოთ საფრანგეთიდან და ამ ოპერაციას თავად ნობელის ნოტარიუსი ჩაუდგა სათავეში. მან დაიქირავა ეტლი, ბანკნოტები მასში მიმალა და საგანგებოდაც შეიარაღდა, რათა თავდამსხმელთაგან თავი დაეცვა... და გზაში კინაღამ ერთ მეგაზეთე ბიჭუნას გაუხვრიტა შუბლი, რომელიც ეტლს შეახტა და მეეტლეს უბრალოდ ახალი გაზეთი შესთავაზა...

ამასობაში ნათესავებიც გააფთრებით ცდლობდნენ ანდერძის გადასინჯვას და სტოკჰოლმის, ლონდონის, პარიზისა თუ ბერლინის სასამართლოებში სულ ახალ და ახალ პროცესებს იწყებდნენ. რაღაც ხელჩასაჭიდი მათაც ჰქონდათ, რადგან ნობელს დავიწყებოდა და ანდერძი ნოტარიუსთან არ დაემტკიცებინა. ამ აწრიალებულ ბრბოს მოულოდნელად მეცნიერებიც შეუერთდნენ - ერთი მათემატიკოსი ვენიდან აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მისი მეცნიერება ნობელმა არ მიუთითა დასაჯილდოებელთა სიაში.

მათემატიკის იგნორირება მართლაც უცნაურად ჩანდა... ოღონდ არა მათთვის, ვინც იცოდა დიდი სატრფიალო ამბავი, რამაც სამუდამოდ გაუტეხა ალფრედ ნობელს გული.

* * *

### ეს მოხდა პეტერბურგში

...შვედი ჭაბუკი და დანიელი გოგონა ხეივანში მისეირნობდნენ...

შორიდან მადამ დეზრის სტუმრების გნიასი ისმოდა...

ახალგაზრდა ალფრედი ამ ქალაქში მამასთან ერთად ჩავიდა, ანნა კი პეტერბურგში დაიბადა - მამამისი, ცნობილი დანიელი გემთმშენებელი, შთამომავალი იყო მათი, ვინც თავად პეტრე I-მა მიიწვია რუსეთში. ალფრედმა პირველად რომ ნახა ანნა, ასე ეგონა - მსოფლიოს ყველა პოეტს მხოლოდ მისთვის დაუწერიაო სახოტბო ლექსები... ანნა კი რაიმე განასკუთრებულს არ გრძნობდა ალფრედის მიმართ, თუმცა კი ეს მელანქოლიური შვედი სხვებისაგან მიზანდასახულობით მაინც გამოირჩეოდა. ალფრედი გარეგნულადაც დიდს არაფერს წარმოადგენდა - ფერმკრთალი და სუსტი აღნაგობის ყმაწვილი გახლდათ... არადა, მას, შესანიშნავ თანამოსაუბრეს, უკვე მოესწრო და, მამის ნებასურვილის, მთელი ევროპა შემოევლო!..

„ოკეანემ იმედი გამიცრუაო“ - იტყოდა ალფრედი და ანნა ისეთ მომხიბლავ ღიმილს შეაგებებდა, რომ ყმაწვილს ისღა დარჩენოდა ბაირონის ან შელლის ლექსისათვის მიემართ, რადგან საკუთარ სათქმელს თავს ვეღარ ართმევდა...

...და სიყვარულის ანაბანის წესისამებრს ალფრედის ცხოვრება ერთ დიდ სიზმარს დაემსგავსა, სადაც მხოლოდ ის და ანა ბინადრობდნენ... სადაც იყო მხოლოდ სიყვარული, პოეზია და თეატრი... სხვა არაფერი! ჭაბუკი მომავალ ქორწილზეც ოცნებობდა და ერთხელ ეს საკუთარ ძმას, ლუდვიგსაც გაანდო, მაგრამ ეს უკანასკნელი დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდა ამ ფაქტს. თუმცა ვის აინტერესებს ძმის აზრი, როცა უყვარს არაამქვეყნიური არსება?!

...არაამქვეყნიურმა არსებამ კი ყველაფერი წამიერად გაანადგურა...

ალფრედის და ანნას ნაცნობთა წრეში ერთხელ ერთი წარმოსადეგი ფრანგი ახალგაზრდა ფრანც ლემარჟი გამოჩნდა; ალფრედს ჯერ ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, მაგრამ სულ მალე ეჭვიანობის საფუძველი გაუჩნდა, რადგან მისი სატრფო მოხდენილი ფრანგი ვაჟის მიმართ ისეთ მზერასა და რეპლიკებს ისროდა, რაც მხოლოდ სიმპათიით განმსჭვალულ ქალს შეუძლია გააკეთოს.

ფრანც ლემარჟი დიპლომატის შვილი იყო,რომელიც ავსტრიის იმპერატორის კარზე მსახურობდა და ახლა პეტერბურგში იყო გადმოგზავნილი სამსახურის გასაგრძელებლად. ფრანცმა ევროპის უახლესი ჭორები იცოდა და ამით სულელი გოგონას ყურადღება უფრო მეტად მიიპყრო,ვიდრე სამყაროსეული სევდით მოსილმა ალფრდის გაუთავებელმა პოეტურმა წიაღსვლებმა.

ერთ მშვენიერ დღეს კი... ლემარჟი კვლავაც რომ ენამახვილობდა და კოკობზიკობდა, ალფრედი კი გამაოგნებელი ეჭვისა გამო მიწის გახეთქვასა და მასში შთანთქმას რომ ლამობდა, სიყვარულში მოქიშპე ჭაბუკებს ერთმანეთთან გაბაასება მოუხდათ.

„თქვენ წარმოდგენა გაქვთ მათემატიკის შესახებ? - დამცინავად ჰკითხა ლემარჟმა და დააყოლა - ხომ ყველა განათლებულმა კაცმა უნდა იცოდეს დღეს ეს მეცნიერება?!“ .

„მამაჩემმა მე განათლება ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში მიმაღებინა“ - თითქმის არ დაიბნა ალფრედი.

„მართლა?!... მაშ, თქვენ ამის ამოხსნაც შეგეძლებათ... - გაიღიმა ლემარჟმა და ხელსახოცზე რაღაც ფორმულა დაწერა. ნობელი დიდხანს ეწვალა, მაგრამ ამოცანას თავი ვერ გაართვა და ლემარჟმა პუბლიკას განუცხადა:

„დიახ, ბატონებო, ალფრედის მსგავსი ლიტერატორები იმას ვერასოდეს გაართმევენ თავს. რაც ჩვენ, მათემატიკოსებს შეგვიძლია...“

* * *

ფრანც ლემარჟისა და ანას ქორწილს მთელი პეტერბურგი დაესწრო. ნობელების ოჯახიც მიიწვიეს, მაგრამ ალფრედი „რატომღაც ავად გახდა“. ქორწილიდან დაბრუნებულ ახლობლებს ალფრედი მართლაც ცუდ მდგომარეობაში დახვდათ: იგი უგონოდ იყო გართხმული იატაკზე, მის გვერდით კი ეგდო მელანშეუმშრალი პოემა ვიღაც მკვდარი მიჯნურის, რაღაც თეთრი სუდარისა და მიმჭკნარი ვარდების სურნელების შესახებ.

ალფრედი თითქმის მთელი კვირის განმავლობაში ვერ მოასულიერეს და მთელი ამ ხნის განმავლობაში მამა არ მოშორებია შვილის სასთუმალს, თან წყევლიდა პეტერბურგსაც, დანიელ ლამაზმანებსაც და ფრანგ დიპლომატებსაც...

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## ბატონებო და ქალბატონებო ...განსაკუთრებით კი ჩვენო პატარა მკითხველებო!

...თქვენს ხელთ არსებული ნომერი უკვე დასრულებული იყო და აქ, სადაც ახლა ამ რეპლიკას ვწერთ, ერთი პატარა უნგრული კროსვორდის განთავსებას ვაპირებდით, მაგრამ ერთი ფაქტისა გამო, იძულებულნი გავხდით თქვენთვის მოგვემართა:

მოგეხსენებათ, თითქმის წელიწადია ჩვენ უფასოდ ვარიგებთ „ფანტაზიის“ ძველ ნომრებს და გვგონია, რომ კარგ საქმეს ვაკეთებთ, რადგან ჩვენს მკითხველებს და განსაკუთრებით ახლად შემომატებულ პიროვნებებს, ალბათ, აინტერესებთ, რა ხდებოდა ამ გაზეთში გასულ წლებში. ძალიან ბევრმა მათგანმა მიიღო კიდეც ეს ძველი ნომრები და მადლობაც გამოთქვეს ჩვენს მიმართ, მაგრამ ამ ბოლო დროს, ფილმ „ლონდრესი“ არ იყო - ხალხო გეო ძროხებს ყიდულობსო და მთელი ქალაქი რომ მას მიაწყდა, ჩვენც გვირეკავენ და ასე მოგვმართავენ:

ა) „თქვენგან ძველი ნომრები მივიღეთ და გვაინტერესებს კიდევ ხომ არ გამოგიშვიათ ეს ძველი ნომრებიო?“

ბ) - „...სხვა გაზეთებსაც ხომ არ არიგებთო?“ - ამასაც გვეკითხებიან.

გ) „შეიძლება ეს ძველი ნომრები „პოსლეზე“ წავიღოთო?!

...და ასე შემდეგ!

ბატონებო და ქალბატონებო, და განსაკუთრებით ჩვენო პატარა მკითხველებო!

ა) ჩვენ ვუშვებთ მხოლოდ გაზეთ „ფანტაზიას“ და არანაირი კავშირი სხვა გაზეთების ძველ ნომრებთან არ გვაქვს.

ბ) ჩვენ ჩვენი გაზეთის ძველ ნომრებს ხელახლა არ ვბეჭდავთ...

გ) „ფანტაზიის“ ძველი ნომრები არ იყიდება, ასე რომ არც ნაღდზე და არც „პოსლეზე“ ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის...

გასაგებია?!

**„ფანტაზიის“ მთავარი რედაქტორი**
**ალ. ელერდაშვილი**

**თარაზულად:** 1. რუსული რუბლის და საბჭოური მანეთის მეასედი ნაწილი. 4. სახსრების ანთებითი დაავადება. 7. როგორია არსებაა ქართულ ზღაპრებში ელენე? 11. ცურვის სტილი. 18. ორი კორპუსისაგან შემდგარი ტივი. 19. ქართველი მოჭადრაკე ქალი. 20. რა უნდა „დაიცვა" მუზეუმში სისუფთავესთან ერთად? 23. მრავალპლანიანი მუსიკალური ნაწარმოები. 24. „რა უნდა ყველას" ერთ ცნობილ ფილმში, რომლის სახელიც რუსულ კინოეკრანებზე გამოვიდა სახელით – „გოგონა საკერავი მანქანით". 25. ორჯერ დაბადებული ღმერთი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, რომელმაც მეფე მიდასს საშუალება მისცა ოქროდ ექცია ყველაფერი რასაც კი შეეხებოდა. 26. გამარჯვების ქალღმერთი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 31. ზღაპრული ცხენის სახელი. 32. შიგაწვის ძრავის გასაცივებლად ხმარებული სითხე. 33. რა უვლის ხოლმე კაცს, როდესაც სატრფოს ხედავს? (მავანთა მტკიცებით). 34. რიჰარდ ვაგნერის ოპერა. 38. მარკო პოლოს და ჟორჟ სანდისეული კონსუელოს მშობლიური ქალაქი. 39. ავტორი ფრიად სახელგანთქმული ნაწარმოებისა „მანონ ლესკოსა და შევალიე დე გრიეს თავგადასავალი". 40. ვინ იყო თავისი სამსახურეობრივი სტატუსით ტორკვემადა? 45. ხსნარის გაჯერების ხარისხი. 46. „ვალსის მეფედ" წოდებული ავსტრიელი მევიოლინე, დირიჟორი და კომპოზიტორი. 47. ნამდვილი გვარი მსახიობისა, რომელსაც მთელი მსოფლიო „მისტერ ბინის" სახელით იცნობს. 51. რა ჰქვია ოდისევსის მამას „ოდისეაში" და ოფელიას ძმას „ჰამლეტში"? (ისინი სეხნიები არიან). 52. სიტყვა, რომლითაც იწყება ცნობილი კომუნისტური დევიზი, რომელიც წლების განმავლობაში გაზეთ „კომუნისტის" ქუდზე ეწერა. 53. რა ჰქვია ლექსში განმეორებად ტაეპს ან სტროფს? 54. აქ ილიასეული ყაჩაღის სახელი ჩაწერეთ. 58. ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს, ვთქვათ, ადამიანის ორგანიზმის უჯრედების სისტემას. 59. რა ჰქვია ჩხრეკას თანამედროვე თბილისურ ჟარგონზე? 60. ქალის პერანგზე დაკერებული მხარზე გადასული ქსოვილის ზონარი. 61. როგორი შეიძლება იყოს კატალოგი ბიბლიოთეკაში? 66. თხების ჯოგი. 67. დედამიწის ისტორიის მეოთხეული პერიოდის შუა ეპოქა. 68. რა ერქვა ციხეს, რომელიც სპეციალურად რუდოლფ ჰესისთვის ააშენეს, მას შემდეგ რაც მას ნიურნბერგის პროცესზე სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. 69. რა ჰქვია არწივის ნაშიერს? 73. აქ აზიური სახელმწიფო გაიხსენეთ, რომლის სიმბოლოც კედარია. 74. შექსპირისეული „მაკბეთის" პერსონაჟი. 75. ცნობილი ესპანელი კომუნისტი მოღვაწე ქალი, დოლორეს.... 76. სახელი ადგილისა მდინარეზე, სადაც გასაგრილებლად დადიან ბიჭ-ბუჭები ცხელ ზაფხულში. 81. აფრიკის სახელმწიფოს, გვინეის დედაქალაქი. 82. ძველებური ფლორენციული ოქროს ან ვერცხლის ფული. 83. ქალაქი პაკისტანში ქალაქ ყარაჩის სიახლოვეს. 88. ამა თუ იმ ადგილის გეოლოგიური აგებულების სურათი. 89. ქალაქი, სადაც მდებარეობდა მსოფლიოში პირველი მავზოლეუმი, მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება შვიდთაგან. 90. რა ჰქვია ადრიანო ჩელენტანოს კინოპერსონაჟს ფილმში „ჭირვეულის მორჯულება". 94. მილის მსგავსად დახვეული ქაღალდები. 95. გენეტიკის მამამთავარი ავსტრიელი ბერი. 96. თანამედროვე ფრანგი ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი. 97. რა დაუტოვა შთამომავლობას მიხაილ კალაშნიკოვმა? 101. პარლამენტში ვინმეს ინტერესების დამცველი. 102. რა ჰქვია თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსს, ხაინდრავას? 103. როგორია ყოველი, რაოდენობრივ ზრდასთან დაკავშირებული მოვლენა? 104. რა გვარი იყო რობინ ჰუდი? 108. პარიზის ცნობილი ტყის სახელი. 109. მიმდინარეობა იტალიური რენესანსის ისტორიაში. 110. ადგილობრივი ტკივილგაყუჩება. 114. სადაური წარმოშობის ავტომობილია „ჰიუნდაი"? 115. ჯარის სასმელ-საჭმელის აღმნიშვნელი სიტყვა. 116. მონარქების თავსარქმელი. 121. რა გვარია შვილისმკვლელი მატეო ფრანგულ ლიტერატურაში? 122. არანაირი ფასეულობის მქონე ქსოვილის ნაჭერი. 123. მწვავე ტკივილის შეტევა გულის არეში. 124. დაბალტანიანი ცხენის ჯიში. 129. ქალაქი საფრანგეთში, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვინსენტ ვან-გოგი. 130. უილიამ შექსპირის ძველი რომის თემაზე შექმნილი ერთ-ერთი ტრაგედიათაგანი. 131. რა ჰქვია გლაშას მეუღლეს ქართულ კინოში. 132. ძველი ბერძენი პოეტი და დრამატურგი, ავტორი სახელგანთქმული „მედეასი". 136. რუსი საბავშვო მწერალი, გრიგორი.... 137. ის, რაც, ხშირად, ადამიანს აკეთებინებს იმას, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა. 138. დედამიწის უმაღლესი მთათა სისტემა. 139. საფრანგეთისა და ესპანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი მონათესავე ხალხი. 144. როგორი შეიძლება იყოს მტირალი ქალი? 145.



შეადგინა ვახო ელერდაშვილმა

რა გვარია ვაჟა-ფშაველასეული ძაღლიკა? 146. წყლის დეზინფექციისათვის ხმარებული ქიმიური ელემენტი. 151. ქალაქი ჩრდილოეთ ინდოეთში, სადაც ყოველწლიურად 1 მილიონი ადამიანი ჩადის წმინდა რელიგიური მოსაზრებებით. 152. შიგნიდან მავთულებდატანებული კაბის სახეობა. 153. როგორი ცხოვრება ჰქონდა რომის იმპერატორ კალიგულას? 154. ცერცვეტი და ქარაფშუტა ადამიანის მოსახსენიებელი სიტყვა. 155. მოსკოვის „სპარტაკის" ცნობილი სომეხი „ლეგიონერი" 50-60-იან წლებში. 156. ტკივილგამაყუჩებელი სამკურნალო პრეპარატი.

**შვეულად:** 1. გაბრიელ შანელის მეტსახელი. 2. შუშანიკის მეუღლის, ვარსქენის თანამდებობა. 3. მზის სისტემის ზოგიერთი „კუდიანი" სხეულის სახელწოდება. 5. რა ჰქვია „კალევალას" თითოეულ ქვეთავს? 6. ის, რასაც ფრენკ ლოიდ რაიტმა „თვალების სალეჭი რეზინი" უწოდა. 8. სვანეთის კავკასიონის მწვერვალი. 9. რა ერქვა შუაცეცხლის თავზე ამოჭრილ ადგილს ძველ საქართველოში? 10. უპირატესობა სპორტში. 12. მდინარის ქვიანი ნაპირი. 13. ადგილი ზოგიერთი სპორტული ასპარეზობისათვის. 14. ჩემპიონის ტიტულის მაძებარი პირი. 15. მდინარის სწრაფი დინება კალაპოტის დაქანების ადგილას. 16. ცნობილი ჩილელი ჩოგბურთელი, მარსელო... 17. რა უძღვის წინ ყოველ თეატრალურ წარმოდგენას? 21. ნახევრად პარაზიტი მცენარე, რომელიც ძირითადად სხვა მცენარეებზე ხარობს. 22. ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც რაიმე მოვლენის ანალიზს ახდენენ. 27. როგორი შეიძლება იყოს დაავადება? 28. შინაური სუსტი არაყი. 29. მუზებისა და აპოლონის საცხოვრებელი მთა. 30. „ქარებთან" დაკავშირებული სახსრების ქრონიკული დაავადება. 35. ვინ იყო აგატა კრისტისეული ერკულ პუარო? 36. რა ჰქვია ინდუიზმში ღმერთ ვიშნუს განსახიერებას კრიშნას ან რამას სახით? 37. ძლიერი მომწამვლავი ნივთიერება. 41. რა ჰქვია ფიზიკაში სინათლის მიერ გადატანილ ენერგიის რაოდენობას, რომელიც გადის ერთეულოვან ფართობში დროის ერთეულში? 42. ისტორიული საბუთების შემსწავლელი ისტორიის დამხმარე დარგი, იგივე სიგელთმცოდნეობა. 43. ავსტრალიის დედაქალაქი. 44. სოფელი ჩოხატაურის რაიონში. 48. კაზაკთა სოფელი. 49. ფრანგი პოეტი და სიმბოლისტი, პოლ... (1844-1896). 50. რომის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა. 55. იგივეა, რაც ზარნაშო, ანუ დიდი ბუ. 56. წმინდა საფეხბურთო ამპლუა. 57. რა დაუკავშირა ერთმანეთს რომაელმა პოეტმა და სატირიკოსმა, იუვენალმა „პურს" ერთ ხატოვან თქმაში? 62. წმინდა კახური საჭმელი. 63. წვრილად დაჭრილი და ერთმანეთში არეული სხვადასხვა ბოსტნეულისაგან მომზადებული საჭმელი. 64. შემნახველ სალაროში შეტანილი ფული. 65. **იხილეთ ფოტო** და თუ სათვალიანი ქალის გვარი გაიხსენეთ, მისი გვარი ჩაწერეთ. 70. იტალიური ნეორეალიზმის „მიქელანჯელო". 71. ფასეულობით მესამე ადგილზე მდგარი ლითონი ოქროსა და ვერცხლის შემდეგ ძველბერძენთათვის. 72. რა გვარი იყო ჯარისკაცი, რომელიც საკუთარი სხეულით გადაეფარა ამბრაზურას სოფელ ჩერნუშკიში 1943 წელს? 77. ჩვენი მინერალური წყალი. 78. პოლიტიკური ან ეკონომიკური იზოლაცია ზოგადად. 79. XX ს მოღვაწე ცნობილი სომეხი კომპოზიტორი და პიანისტი. 80. ყვავილი, რომლის სახელიც ეწოდა ჰიტლერის მიერ შემუშავებულ კავკასიის დაპყრობის გეგმას. 84. რაიმე მნიშვნელოვანი აქტის შესავალი ნაწილი. 85. გლობალური კომპიუტერული ქსელი. 86. თანამედროვე არგენტინელი ფეხბურთელი, დიეგო... 87. რა ერქვათ ტომის წარმომადგენლებს, რომლებიც დღევანდელი პარიზის ადგილას სახლობდნენ? (...შემდგომში მათი სახელი ეწოდა ქალაქს). 91. როგორი ფრინველია ბულბული? 92. კონსტანტინე სტანისლავსკის ნამდვილი გვარი. 93. საბჭოელი კონსტრუქტორი, შემქმნელი რაკეტისა, რომლითაც კოსმოსში გაფრინდა იური გაგარინი. 98. როგორი მახა დახატა ფრანსისკო ხოსე დე გოიამ? 99. ქალაქი გერმანიაში. 100. სანგრის თავზე გაკეთებული მიწაყრილი, რომელიც მესანგრე ჯარისკაცს იცავს ტყვიებისაგან. 105. კარტოფილის საოხრელად წასული ბიჭუნა ერთი რუსული სიმღერიდან. 106. პატარა და კოხტა ბიჭუნების დამახასიათებელი სიტყვა. 107. ციხე-სიმაგრე, სადაც 1783 წელს ცნობილი ტრაქტატი დაიდო რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. 111. როგორ გამოითქმის „ცისარტყელა" ინგლისურად? (გსმენიათ ბატონებო, ნამდვილად გსმენიათ). 112. ზეპირი მეტყველების სწრაფად ჩაწერის წესი. 113. რა ერქვა სალიერის, იტალიელ კომპოზიტორს? 117. ყველაზე ცნობილი დის სახელი გაიხსენეთ აქ მწერალი დების, ბრონტეების ოჯახში. 118. ადოლფ ჰიტლერის ნამდვილი გვარი. 119. სასწავლო დაწესებულება. 120. ორთავა კუნთი ადამიანის ორგანიზმში. 125. იპოლიტის როლის შემსრულებელი მსახიობი ფილმში „ბედის ირონია, ანუ გაამოთ!". 126. რა ერქვა მოდრეკილს? 127. ბიბლიური წინასწარმეტყველი. 128. ვინ იყო ლიტერატურული მიმდინარეობით ტიციან ტაბიძე? 133. მევახშეთათვის ძალზე საყვარელი მათემატიკური ცნება. 134. რაიმეს მოხდენის ალბათური შესაძლებლობა. 135. სახელმწიფო სამხრ.-დას. აზიაში. 140. მსოფლიო კონის ანჟელიკა. 141. რა გვარი იყო კაპიტანი, რომლის განძეულსაც ეძებენ სტივენსონის „განძთა კუნძულში"? 142. ნისლის უფრო პოეტური სახელი. 143. ვინმე სეთური, „დათა თუთაშხიადან". 147. დაუმორჩილებელი, ანუ? 148. გუმანი, ინტუიცია.. კიდევ? 149. სასაათე ადგილი. 150. კონტრკულტურის წარმომადგენელი გრძელთმიანი სუბიექტი.



# საკროსვორდო ენციკლოპედია

**ბარი** - დიდი მტაცებელი ფრინველი.
**ბარი** - საზოგადოებრივი კვების ობიექტი.
**ბარი** - ქალაქი იტალიაში.
**ბარი** - ქალაქი პორტი ჩერნოგორიაში (იუგოსლავია)
**ბარი** ჟან - XVII ს ფრანგი მეზღვაური.
**ბარი** ჰერმან - XIX-XX სს ავსტრიელი მწერალი.
**ბარი** ანტუან ლუი - XIX ს ფრანგი მოქანდაკე და ფერმწერი.
**ბარი** ჯეიმზ მეთიუ - XIX-XX ს შოტლანდიელი მწერალი.
**ბარი** - სუდანში მცხ. ხალხი.
**ბარი** - ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული.
**ბარი** - სოფელი ონის რ
**ბარიატინსკი** ალექსანდრე - რუსი თავადი-დეკაბრისტი.
**ბარიბალი** - შავი დათვი.
**ბარიბარ** - თანაბრად, თანასწორად.
**ბარიერი** - ზღუდე, დაბრკოლება.
**ბარიკადა** - ქუჩაში დაყრილი დიდი საგნებით შექმნილი დაბრკოლება.
**ბარილი** - ლათ. ამერიკის ქვეყნ. სითხის მოცულობის საზომი.
**ბარიმორი** ჯონ - ამერიკელი მსახიობი.
**ბარიმორი** დრუ - ამერიკელი კინომსახიობი ქალი.
**ბარიონები** - ჯგუფი მძიმე ელემენტარული ნაწილაკებისა.
**ბარიოსი** ხუსტო რუფინო - XIX ს გვატემალის სახელმწ. მოღვაწე.
**ბარისალი** - ქალაქი ბანგლადეშში.
**ბარისანი** - ქალაქი ინდონეზიაში.
**ბარისახო** - სოფელი დუშეთის რ
**ბარისპირა** - მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა.
**ბარისტერი** - მაღალი რანგის ადვოკატი ინგლისში.
**ბარიტი** - მძიმე შპატი, მინერალი, ბარიუმის ბუნებრივი სულფატი.
**ბარიტო** - მდინარე ინდონეზიაში.
**ბარიტონი** - მამაკაცის სასიმღერო ხმა, საშუალო ტენორსა და დვრინს შორის.
**ბარიუმი** - მენდელეევის პერიოდული სისტემის II ჯგუფის ქიმ. ელემენტი.
**ბარიცენტრი** - გეომეტრიული ფიგურის სიმძიმის ცენტრი.
**ბარიში** - ქალაქი რუსეთის ულიანოვსკის ოლქში.
**ბარკა** - ძველებური არათვითმავალი ხის ბრტყელძირიანი გემი.
**ბარკალი** - ცხოველის ან ფრინველის თეძო მუხლამდე.
**ბარკაროლა** - იტალიელი მენავეების სიმღერის სახელწოდება.
**ბარკასი** - პორტში ტვირთის გადასაზიდი თვითმავალი პატარა გემი.
**ბარკენტინა** - აფრიანი საზღვაო სატვირთო გემი.
**ბარკი** - დიდი საზღვაო აფრიანი გემი.
**ბარკიოლი** - ტბა ჩინეთში.
**ბარკისიმეტო** - ქალაქი ვენესუელაში.
**ბარკლა** ჩარლზ - XIX-XX სს ინგლისელი ფიზიკოსი.
**ბარკლაი-დეტოლი** მიხეილ - XVIII-XIX სს რუსი მხედართმთავარი.
**ბარკლი** - პლატო, ავსტრალია.
**ბარ კოხბა** - II ს იუდეაში ანტირომაული აჯანყების მეთაურის, სიმონის საპატიო მეტსახელი.
**ბარკროფტი** ჯოზეფ - XIX-XX ს ინგლისელი ფიზიოლოგი.
**ბარკჰაუზენი** ჰაინრიხ გეორგ - XX ს გერმ. ფიზიკოსი.
**ბარლახი** ერნსტ - XIX-XX ს გერმ. მოქანდაკე.
**ბარლეტა** - ქალაქი-პორტი იტალიაში.
**ბარლეტი** მარინ - XV-XVI ს ალბანელი ისტორიკოსი.
**ბარლიცკი** ნორბერტ სტანისლავ - პოლონეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწე.
**ბარმენი** - ბარის დახლში მდგომი.
**ბარმიში** - სოფელი გუდაუთის რ
**ბარნაბიანთკარი** - სოფელი კასპის რ
**ბარნავი** ანტუან - საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე.
**ბარნარდი** ედუარდ ემერსონი - ამერიკელი ასტრონომი.
**ბარნაული** - ქალაქი რუსეთში, ალთაის მხარის ცენტრი.
**ბარნელა** - ერთგვარი სადღვები ხელსაწყო.
**ბარნეტი** ბორს - საბჭოთა კინორეჟისორი და მსახიობი.
**ბარნზლი** - ქალაქი ინგლისში.
**ბარნი** - ბირთვული პროცესების ეფექტური განივკვეთის ერთეული.
**ბარნოვი** (ბარნაველი ვასილ - ქართველი მწერალი-რომანისტი.
**ბარო** ოდილონ - XIX ს საფრანგეთის პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე.
**ბარო** ჟან ლუი - ფრანგი მსახიობი და რეჟისორი.
**ბაროგილი** - უღელტეხილი ჰინდუქუშზე.
**ბაროგრაფი** - თვითმწერი ხელსაწყო ატმოსფერული წნევის უწყვეტი ავტომატური რეგისტრაციისათვის.
**ბაროთერაპია** - მკურნალობა მაღალი ან დაბალი ატმ. წნევით.
**ბაროკამერა** - ჰერმეტული კამერა, რომელშიც ქმნიან ატმოსფერულზე მაღალ ან დაბალ წნევას.
**ბაროკო** - გვიანი ფეოდალური ხანის ევროპული ხელოვნების სტილი.
**ბარომეტრი** - ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო.
**ბარონესა** - ბარონის ცოლი ან ქალიშვილი.
**ბარონეტი** - მემკვიდრეობითი სათავადაზნაურო ტიტული ინგლისში.
**ბარონი** - სათავადაზნაურო ტიტული ევროპაში.
**ბარორეცეპტორები** - სისხლძარღვთა კედლებში არსებული გაღიზიანების მიმღები მგრძნობიარე ნერვული დაბოლოებები.
**ბაროტრავმა** - დაზიანება, გამოწვეული ატმ. წნევის მკვეთრი მერყეობით.
**ბაროტსე** - ზამბიაში მცხ. ხალხი.
**ბაროუ** - კონცხი, ალასკის უკიდურესი ჩრდ. წერტილი და სრუტე კანადის არქტიკულ არქიპელაგში.
**ბაროუ** - საგრაფო, ქალაქი და ნავსადგური დიდ ბრიტანეთში.
**ბარჟა** - სამდინარო ან საზღვაო არათვითმავალი სატვირთო გემი.
**ბარრიკადი** - „ცისფერყანწელების“ ლიტ. გაზეთი.
**ბარსაკი** ანდრე - XX ს ფრანგი რეჟისორი და თეატრ. მხატვარი.
**ბარსაქელმესი** - კუნძული არალის ზღვაში.
**ბარსელონა** - ქალაქი ესპანეთში, კატალონიის ოლქის მთავარი ქალაქი.
**ბარსელონა** - ქალაქი ვენესუელაში.
**ბარსი** - სოფელი ჯავის რ.
**ბარსკი** ვლადიმირ - XX ს რუსი რეჟისორი და მსახიობი.
**ბარსკი** ლევ - მოლდოველი მწერალი.
**ბარსოვა** ვალერია - რუსი მომღერალი (ლირიკული სოპრანო).
**ბარსუკები** - ქვიშიანი უდაბნოები არალის ზღვის ჩრდილოეთით.
**ბარტდინსკი** იპოლიტ - XIX ს რუსი პოეტი მთარგმნელი, თარგმნილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილი.
**ბარტელემი** ოგიუსტ მარსელ - XIX ს ფრანგი პოეტი.
**ბარტერი** - საქონელგაცვლა, გაწონასწორებული ვაჭრობა.
**ბარტი** ჟან (ვუჯენ ბოტეზი) - რუმინელი მწერალი
**ბარტო** აგნია - რუსი საბავშო პოეტი და მწერალი ქალი.
**ბარტოკი** ბელა - XIX-XX სს უნგრელი კომპოზიტორი.
**ბარტოლდი** ვასილი - აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი.
**ბარტოლი** მატეო - XIX-XX სს იტალიელი ენათმეცნიერი.
**ბარტოლო** - XIV ს იტალიელი იურისტი.
**ბარტოლომეო** ფრა - XV-XVI სს იტალიელი ფერმწერი.
**ბარტონი** რიჩარდ - ჰოლივუდის მსახიობი.
**ბარტუ** ჟან ლუი - XIX-XX ს ფრანგი პოლიტ. და საზ. მოღვაწე.
**ბარტყი** - ფრინველის ნაშიერი.
**ბარტყულა** - ერთგვარი თავსაბურავი ბერ-მონაზვნისა.
**ბარულა** - ბოსტნეულის საოშავი ხის იარაღი.
**ბარუნდი** - ბურუნდის რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობა.
**ბარქანი** ომერ ლუთფი - XX ს თურქი ეკონომისტი.
**ბარქაში** - მოღრმო თეფში (საბა).
**ბარღები** - სოფელი გალის რ.
**ბარში** - სოფელი მესტიის რ

(841, სულ 5163)

# „ჯორჯიან მალულა კორპორეიშენი“ წარმოგიდგენთ



**თარაზულად**: 1. XIX საუკუნის დასაწყისის რუსი ფილოსოფოსი და საზ. მოღვაწე. 7. ქალთან დაკავშირებული ცნება, რაც იაფფასიანი კინოსა თუ პრესის გასაღების ერთ-ერთი ბერკეტია. 13. იტალიური კინოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომიკოსი. 14. გია ფერაძის პერსონაჟი ფილმში „განგაში“. 15. რა გავაცილეთ სულ ახლახანს XX საუკუნესთან ერთად? 16. თაიგულის შეკონვის იაპონური ხელოვნება... (საქართველოში ასეთი დასახელების გაზეთიც კი გამოდის). 17. საკუთარი ხასიათისა და სტილის არ მქონე, თუნდაც მდარე, ანუ როგორი? 18. შინაური ცხოველის ნაშიერი. 19. ადამიანის უძველესი განამარხებული სახეობა. 22. ის, რაც ყველას აქვს საკუთარი პერსონის უნიკალურობის თვალსაზრისით (...ანუ, რომ ჰგონია - ყველაზე კარგფი ვარო...). 24. როგორია ის ხმა, რაშიც დამაჯერებლობა გონიერებას სჭარბობს. 26. დაბალი ზომის მცენარეული სუბიექტი. 28. არისტოკრატთა შთამომავლების სასწავლებელი დიდ ბრიტანეთში. 31. ამა თუ იმ საკითხის ან პროცესის დროებით შეჩერება-გაყინვა. 33. ერთ-ერთი ყველაზე მზაკვარი სუბიექტი ალექსანდრე დიუმა-მამის პერსონაჟთა გალერეაში. 36. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში (შედის ერთა თანამეგობრობაში). 37. ტურის სხვა, არაჩვენებური სახელი. 38. გერმანელ ფაშისტთა მიერ მოწყობილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საკონცენტრაციო ბანაკი. 39. საბჭოური კინოს ცნობილი რუსი კომიკოსი. 40. იქნებ გსმენიათ - როგორ ჟღერს იაპონურად „გმადლობთ“? 41. ნუგზარ შარიას კინოპერსონაჟი.

**შვეულად**: 1. ვინ იმალება კროსვორდის ჩარჩოს მარცხენა ნაწილის უკან (სახელი და გვარი)? 2. XX საუკუნის ცნობილი არგენტინელი მწერალი. 3. რუსული სიტყვა, რომელიც ჩვენშიაც დამკვიდრდა მეწვრილმანე, მხოლოდ საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანის აღსანიშნავად. 4. სახელი ქალისა, რომელიც მღერის: „ქარი კვლავ არხევს, ნაცნობ ლელიანს“ (...და რა დიდებულად მღერს!). 5. მთავარი რედაქტორი თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის „ვრასტანისა“ („ვრასტან“ სომხურად საქართველოს ნიშნავს... იცოდით?). 6. გამდნარი ყველის მწარმოებელი ფირმა. 8. თეატრალური სანახაობისათვის საჭირო ნივთის ზოგადი სახელი. 9. ვინ იმალება კროსვორდის ჩარჩოს მარჯვენა ნაწილის უკან (სახელი და გვარი)? 10. როგორია ზოგადად ასეთი სიტყვები: ხალხი, ფარა, ჭურჭლეული და სხვა. 11. როგორი უნდა ყოფილიყო აუცილებლად ფილმი, სპექტაკლი თუ წიგნი (...აღლუმიც კი) აწმიცვალებულ საბჭოთა კავშირში? 12. რა ჰქვია ფრანგ ფეხბურთელს, დეშამპს? 20. ბუნდესლიგის (გერმანიაში რომ არის) საფეხბურთო კლუბი. 21. ავტორისეული ქმნილება. 23. ჩვენი ესტრადისა და კინოს ცნობილი მსახიობი. 25. ძველ რომში საცხოვრებელი სახლის შიგნითა დახურული ეზო. 27. მრავალთავიანი არსება ძველბერძნული მითოლოგიისა, რომელზედაც ამბობდნენ - ერთის ნახვით გამაქვავაო. 29. პერსონაჟი,რომელმაც ასე დაიწყო თავისი ამბის თხრობა: *-Мой дядя самых честных правил, когда не в шутку занемог....* . 30. თბილი და უგემოვნო ღვინის შესახებ (...და ზოგადად სასმელი სითხის შესახებაც) ასეთი სიტყვა გვსმენია აღმ. საქართველოში... რა? 32. რუსული გაზეთი. 34. 70-80-იანი წწ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდის წევრი. 35. მსუბუქი ავტომობილის ძარის სახესხვაობა.





**თარაზულად**: 1. პატარა საკონტროლო ფურცელი, რომელიც რისამე მიღების უფლებას იძლევა. 4. შემწვარი პურის დასამზადებელი საოჯახო ხელსაწყო. 7. ადამიანის სულიერ ძალთა, შესაძლებლობათა ერთობლიობა. 13. არსებები, რომლებიც მოინახულა ლემუელ გულივერმა. 14. სატვირთო გემის კაპიტანი. 15 ყაზახი მწერალი. 18. იმრე კალმანის სამოღვაწეო სფერო. 19. თავშესაფარი, სადაც ადოლფ ჰიტლერმა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა. 20. მსხვილი ნაწლავის ანთება. 24. ახლო ნათესავი. 25. განსაკუთრებული ნიჭიც და ძველი საბერძნეთისა და ეგვიპტის ფულის ერთეულიც. 26. ანტიკური ხანის მამაკაცის ერთ-ერთი უძველესი და უნატიფესი ქანდაკება. 30. ის, ვისაც უშუალოდ მოუგო რონალდ რეიგანმა საპრეზიდენტო არჩევნები 1980 წელს. 31. შუა სს. წერილობითი გამოწვევა დუელში. 32. ევროპის ცნობილი ვულკანი. 36. რამდენიმე საწარმოს გაერთიანება. 37. ერთ-ერთი იმ ოთხთაგანი, რომლებიც „იმელის“ შენობაზე იყო გამოსახული. 38. ადამიანის ორგანიზმში ის თავისი შესაძლებლობების 3% ავლენს. 42. საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრი. 43. აშშ-ს 33-ე პრეზიდენტი, რომელმაც გასცა ბრძანება ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შესახებ. 44. სიწითლე სახეზე. 48. რობინ ჰუდი კევინ კოსტნერისთვის. 49. ერევნის ძველი სახელწოდება. 50. მკვიდრი მოსახლე. 54. სოფელი სამეგრელოში, შავი ზღვის პირას. 55. რუსული ესტრადის წარმომადგენელი. 56. სოხუმის აფხაზური სახელწოდება. 60. მუსიკალური ჯგუფი, რომლის სახელიც ბერძნულად „გამოცანას“ ნიშნავს. 61. იუსტინიანეს კანონების კრებულის ნაწილი, რომელიც ლათინურად „კრებულს“ ნიშნავს. 62. ქალაქი უკრაინაში. 66. ღვინის ჭურჭელი. 67. ლიტვის ძველი დედაქალაქი. 68. ლიტ. პერსონაჟი, რომლის სასამართლო პროცესი 1941 წლის 21 ივნისს მიმდინარეობდა. 72. უდიდესი ფრანგი ფეხბურთელი. 73. ერთ-ერთი შენახვადი სიდიდე ფიზიკაში. 74. პლანეტის „გზა“. 78. საქართველოს ისტ. რეგიონი. 79. გრძელ დისტანციაზე მორბენალი. 80. ინდოეთის დედაქალაქი. 84. რუბრიკა „ფანტაზია“-ში. 85. ჩუკოტკის დედაქალაქი. 86. აფროდიტეს სატრფო. 90. ქართველი კომპოზიტორი. 91. დაცვა, რომელიც მიჰყვება პატიმარს. 95. თავში მოსული აზრი. 96. ბასკური დაჯგუფება. 97. მსოფლიოს უდიდესი კინორეჟისორი. 98. დოლარის წინაპარი ბოჰემური ფულის ერთეული. 99. სასკოლო შეფასების ერთეული. 100. ქალაქი კ. სიცილიაზე. 101. ტბა საქართველოში.

**შვეულად**: 1. რუსული სამთავროებისა და იარაღების „დედაქალაქი“. 2. ერთგვარი კანფეტი ჯოხზე. 3. შოტლანდიელი მათემატიკოსი, რომლის სახელი ერთ ირაციონალურ რიცხვს ეწოდა. 5. ქართული ავიაკომპანია. 6. არქიტექტურული და დეკორატიული სტილი, რომელიც წარმოიშვა მე-18 საუკუნეში საფრანგეთში, დამახასიათებელი ნატიფი რთული ფორმები. 8. ინდოელ ქალთა სამოსი. 9. ავტომობილი, რომელსაც უმღერის ლიბა უსპენსკაია. 10. ავტოინდუსტრიული ქალაქი გერმანიაში. 11. სპარტის სრულუფლებიანი და კეთილშობილი მოქალაქე. 12. პატარა ძაღლი. 16. ჯანყი ციხეში. 17. ქიმიური ჭურჭელი. 21. ჰუსარის მხრის დამამშვენებელი ატრიბური. 22. გარეული ვირი, რომლის ტყავსაც ონორე დე ბალზაკმა მაგიური თვისებები მიაწერა. 23. ჭურჭელთან დაკავშირებული პროფესია. 27. იგივეა,რაც ოფისი. 28. ლოგიკური ან ეთიკური პრინციპი,ქცევის წესი, ნორმა, რომელიც გამოთქმულია მოკლე სახით. 29. სიცხის დამახასიათებელი სიტყვა. 33. „მობი დიკის“ ავტორი. 34. შუა აზიური ანტილოპა. 35. რისამე მსგავსი რამ. 39. იგივეა, რაც კურიერი. 40. ის, რასაც ბავშვს პირველ კლასში ასწავლიან. 41. რუსი ჩოგბურთელი გოგონა. 45. ტექსტის ნაწყვეტი. 46. ვულკანური წარმოშობის მუქი ფერის მინა. 47. სურსათ-სანოვაგე. 51. მცირე სიმაღლის ზღაპრული არსება. 52. როგორ წონას გვპირდებიან გამყიდველები? თუმცა წონა სულ ასეთი უნდა იყოს. 53. დიდ მანძილზე მოქმედი გერმანული ზარბაზნები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში გამოიყენებოდა. 57. ქართული ეროვნული კერძი. 58. პიროვნება. 59. მათემატიკური სიდიდე, რომელსაც მხოლოდ რიცხვითი მახასიათებელი გააჩნია. 63. ცნობილი საბჭოთა ძმები მწერლების გვარი. 64. ცნობილი ესპანელი მხატვარი. 65. განცხადება სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შესახებ. 69. ენის შემსწავლელი მეცნიერი. 70. ვულკანის ნაწილი. 71. ათენის გარეუბანი, საბერძნეთის უდიდესი ნავსადგური. 75. დიდი ფრანგი მათემატიკოსი, რომლის დიდი თეორემის დამტკიცებას ამაოდ ცდილობდა არტურ პორჯესის მოთხრობაში ეშმაკი. 76. არეკლილი მზის სხივი. 77. გერმანიის კანცლერი. 81. ევროპის მუსლიმანური ქვეყანა. 82. ქალაქი ავსტრალიაში. 83. „ელამი“ „ემალი“-სათვის. 87. მინოსური კულტურის კერა. 88. ვინ იყო ეროვნებით კარმენის სატრფო დონ ხოსე ლისარაბენგუა. 89. მოსკოვის „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე. 92. იუგოსლავიის ლეგენდარული მმართველი. 93. იაპონური ელექტრონაწარმის მწარმოებელი ფირმა, ოდესღაც მოსკოვის „სპარტაკის“ სპონსორი. 94. ქართული კინოს ყველაზე ცნობილი ვირთხა.




# ჟაკლინ ბისეტი

## მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

გამოშვება №23

**დაიბადა 1944 წლის 13 სექტემბერს ინგლისის ქალაქ უემბრიჯში ნამდვილი სახელი და გვარი უინიფრედ ჟაკლინ ფრეიზერ ბისეტი**

ჟაკლინ ბისეტს, მართალია, წარმოშობა ფრანგული აქვს, მაგრამ ინგლისურ ყაიდაზე აღიზარდა და ინგლისელ მსახიობადაც ითვლება; ჰოდა, არავის უნდა გაჰკვირვებოდა, ისიც, მრავალი ინგლისელივით, თავშეკავებული და მკაცრი ბუნების რომ ყოფილიყო, მაგრამ რომანტიულმა ბუნებამ თავიდანვე "შეაწუხა" ეს ქალი და... თავგადასავლებსა და მოგზაურობებზე ოცნებამაც საკმაო დრო დაიკვა მის ბავშვობაში. ერთხანს ჟაკლინ-ფრეიზერი დიდის გატაცებით სწავლობდა ნაირგვარ ატლასებსა და ტურისტულ მარშრუტებს, სულ დასტადასტა აგროვებდა ეკზოტიკური ადგილების ფოტოებს და, როგორც მოგახსენეთ, ოცნებობდა; ასე მაგალითად: იგი წამოწოლილია ჯუნგლებში მიკარგული რომელიღაც ტბის პირას, სიამით უსმენს ნიანგების ყურყუტს, მაგრამ გრძნობს, რომ ნიავმა თმა აუწეწა და სასწრაფოდ უნდა დაივარცხნოს; ჰოდა, ჩანთიდან იღებს ელექტროფენს, ემზადება დასავარცხნად, მაგრამ, შტეპსელი... სადაა შტეპსელი?! აი, ამ პრობლემამ (თუ დაახლოებით ასეთმა) მას საბოლოოდ აალებინა ხელი მოგზაურობათა ოცნებაზე.

და... საკუთარი თავის თითქმის პედანტურმა მოვლამ და მრავალფეროვნებისაკენ სწრაფვის ბუნებრივმა მოთხოვნილებამ იგი ერთ მშვენიერ დღეს ფოტომოდელად აქცია!

თვრამეტი წლისაც არ გახლდათ ჟაკლინი, თავისი ქალაქის სილამაზის დედოფლად რომ აღიარეს და ჟურნალების გარეკანებზედაც ასე (სამუდამოდ!) დაიმკვიდრა ადგილი. ერთ-ერთი ასეთი ჟურნალი რიჩარდ ლესტერმა ნახა და ინგლისელ-ფრანგი ლამაზმანი თავის მორიგ კომედიაში მიიწვია; როლი, მართალია, ეპიზოდური ერგო, მაგრამ, რაკიღა ფილმმა კანის ფესტივალის ლაურეატობა მოიპოვა, ჟაკლინ ბისეტიც ყურადღების ცენტრში მოექცა, მით უმეტეს, რომ მისი სილამაზე მართლაც თვალში საცემი აღმოჩნდა და ეკრანის ქალურობის ეტალონის სახელიც დაიმკვიდრა, თუმცა თავად ჟაკლინი ამ იმიჯს არაიშვითად დასცინის და მომაბეზრებლადაც კი მიაჩნია.

70-იან წლებში ჟაკლინმა თავის რომანტიულ-ავანტურისტულ ბუნებას სრული გაქანება მისცა და მეგობარ მსახიობ კენდის ბერგენთან ერთად საკუთარი კინოკომპანიაც კი შექმნა. აქ მან პირველად ფილმი "მდიდრები და სახელგანთქმულები" შექმნა, რომლის რეჟისორადაც თავად ჯორჯ კიუკორი მიიწვია. ეს ის კიუკორი გახლავთ, რომელიც თავის დროზე ვივილენ ლის ამზადებდა სკარლეტ ო'ჰარას როლისათვის და სწორედ მან იტვირთა ეკრანული ეტალონისაგან ნამდვილი მსახიობი გამოეძერწვა. ამ კაცმა მართლაც რომ მოუძებნა ჟაკლინს საკუთარი ამპლუა (თუ იმიჯი) და ამ საქმის განხორციელებისას მის პარტნიორებად არც ჰოლივუდის გამაოგნებელი ვარსკვლავების მიწვევა დაიზარა (თავად განსაჯეთ: ტონი კერტისი, რაიან ო'ნილი, ფრენკ სინატრა, პოლ ნიუმენი, სტივ მაკკუინი, ჩარლზ ბრონსონი და ა.შ).

**მჯერა, მე კვლავაც არაერთხელ მოვასწრებ შეყვარებას**

ჟაკლინ ბისეტი არათუ დაიკარგა ამ თანავარსკვლავედში, არამედ ყველა დაარწმუნა, რომ ამაოდ არ დაუნებებია ფოტომოდელიორობისათვის თავი კინოს სასარგებლოდ. დრომაც თავისი მოიტანა და ჟაკლინის არტისტიზმით თავად ფრანსუა ტრიუფომ ისურვა სარგებლობა, მიიწვია რა იგი ფილმ "ამერიკულ ღამეში" მთავარ როლზე. იმავ დროს და პარალელურად ბისეტი ანა კარენინასაც თამაშობდა ჰოლივუდის ბაზაზე შექმნილ ტელესერიალში და სრულიადაც არავის გაჰკვირვებია, როცა იგი პრეზიდენტ კენედის ქვრივის როლზე მიიწვიეს ფილმში "დიდი ბერძენი" (ფილმში ჟაკლინ კენედისა და არისტოტელე ონასისის - ენტონი კუინის - სატრფიალო რომანი აისახა). ეს ყველაფერი 70-80-იანი წლების გასაყარზე ხდებოდა, ამ პერიოდის გვირგვინი კი ფილმი "ველური ორქიდეა" აღმოჩნდა და გვირვინოსანი ქალის როლის განსახიერებაც ლოგიკური ფაქტი აღმოჩნდა ფილმში "ნაპოლეონი და ჟოზეფინა".

* * *

ჟაკლინს დღემდე ოფიციალური მეუღლე არ ჰყოლია. მისი პირველი სიყვარული ერთი უბრალო ინგლისელი ფოტოგრაფი გახლდათ, რომელმაც პირველი ფოტოები გადაუღო მას ჟურნალებში დასაგზავნად და 7 წელი მეურვეობდა მას. 1968 წელს ჟაკლინმა გადაღებებზე მსახიობი მაიკლ სარაზინი გაიცნო (გახსოვთ ფილმი "ქანცგაწყვეტილ ცხენებს ხოცავენ"?) და მასთანაც სრული 7 წელი გაატარა სიამტკბილობაში. შემდეგ მხატვარი ვიქტორ დრაი და ისევ 7 წელი. ეს შვიდი წელი ბედისწერასავით დასჩემდა მას; კაცების მოპოვება-შეცვლა არასოდეს ყოფილა მისთვის თვითმიზანი, უბრალოდ ერთგულება ამა თუ იმ სუბიექტისადმი სწორედ იმდენხანს გრძელდება ჟაკლინისათვის, რასაც თურმე რეალურად 7 წელი ჰქვია.

